არქიტექტურული დიალოგი გერმანელ ახალგაზრდა არქიტექტორებსა და ქართველ სტუდენტებს შორის

2018 წლის 22 ოქტომბერს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში შედგა შეხვედრა გერმანელ არქიტექტორებთან კიოლნიდან: მარიტა რიედელ, დორის ფუნქჰაუზერ, ტატიანა დეტერინგ და ბირგიტ დ. მეიერ–ვაიდმანნ, კიოლნის და მაინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გერჰარდ კალჰოფერ და მისი ყოფილი სტუდენტები, რომლებმაც სწავლა გააგრზელეს სხვადასხვა ქვეყნის არქიტექტურულ სკოლებში და ამავე დროს მუსაობენ ტავიანთ პროფესორტან ერთად არქიტექტურულ ბიუროში: დავიდ ებელი კიოლნი, არქიტექტორი და ასევე მარსელის ხელოვნების ბაკალავრი; ტობიეს შეედერი არქიტექტორი და მაინსის ხელოვნების მაგისტრი; იოჰანეს ჰაუკე ლაიპციგი–არქიტექტორი, მირა ჰეინზე – კიოლნი არქიტექტორი, დირკ ზალოგა დუსელდორფი არქიტექტორი.

შეხვედრაზე მაინსის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა სტუდენტებს გაუზიარა ის გამოცდილება და პროექტირების სწავლების მეთოდიკა, რომელიც ხორციელდება მაინსის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. სწავლების მეთოდიკა დაფუძნებულია რეალური პროეტების შესრულებაზე, მიზანი არის არა არქიტექტურული სიმბოლოს დაპროექტება, არამედ რეალური დაკვეთით, კლიენტის მოთხოვნის გათვალისწინებით ისეთი პროექტის შესრულება, რომელიც შემდგომ განხორციელდება დამკვეთის მიერ. ასეთი პროეტები მცირე მოცულობისაა თუმცა მათი გადაწყვეტა ითხოვს ინოვაციურ მიდგომას. მათ შორის ასრულებენ პროექტებს როგორიცაა მიშენება, დაშენება, რესტაცრაცია, ახალის ინტეგრაცია ძველთან და სხვა. ეს ის პოექტებია, რომელიც პრაქტიკულად გამოყენებადია. პროექტირებისას დიდი დრო ეთმობა კონცეფციის შემუშავებას, რომელსაც უთმობენ თითქმის ნახევარ სემესტრს. აზრი ასეთი მიდგომის მდგომარეობს იმაში, რომ დამპროექტებელი ახალოს იყოს ადამიანტან, ადამიანზე მორგებული იყოს და შეუქმნას მას კომფორტი, ხასიათდებოდეს ბუნებრივობით. ე.წ. სახალხო არქიტექტურა და არა არქიტექტურის მიმართულების განმსაზღვრავი. ანუ ადამიანზე ორიენტირებული არქიტექტურა წარმოადგენს სწავლების ძირითად პრინციპს. სწორედ ამაში მდგომარეობს სწავლების მეთოდის ორიგინალობა. სასწავლო კურსი განიხილება, როგორც კრეატიული არქიტექტურა. ლექციისს პროფესორმა განიხილა რამოდენიმე მაგალითი. შემდგომ გერმანელმა ახალგაზრდა არქიტექტორებმა ჩაუტარეს მასტერ კლასი ქართველ სტუდენტებს და გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება თუ როგორ და რა მეთოდებით წყვეტდენ სხვადასხვა

არქიტექტურულ პრობლემას. განიხილეს კონკრეტული მაგალითები როგორიცაა „წითელი ბუნკერი“, მცირე ზომის საზოგადოებრივი სივრცე ე.წ. მოძრაობის სივრცე, ინტერაქტიული პროექტირება და სხვა.

ბოლოს სტუმრებმა დაათვალიერეს ფაკულტეტი. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა დავით ბოსტანაშვილის „არქიტექტურული პოეტიკის“ სტუდიამ, სადაც სტუმრებმა ყველაზე ნატლად დაინახეს თუ რა პოტენციალს ფლობენ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები.



Ministry of
Culture
and National
Heritage of
the Republic
of Poland